



**ქ. მცხეთის, ქ. რუსთავისა და ქ. მარნეულის შესასვლელებში
საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ მოწყობილი საკონტროლო
გამშვები პუნქტების მონიტორინგის ანგარიში (14/04/2020წ)**

წინამდებარე ანგარიშში ასახულია ქ. მცხეთის, ქ. რუსთავისა და ქ. მარნეულის შესასვლელებში საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ მოწყობილ საკონტროლო გამშვებ პუნქტებში, 2020 წლის 14 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

მონიტორინგის მონაწილეები:

თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი: თამარ გაბიანი, გიორგი ძაძუა;

მონიტორინგის მიმდინარეობისას ჯგუფის წევრები თავდაცვის ძალების წარმომადგენელი ხელმძღვანელი პირების თანხლებით, შესაბამისი დამცავი საშუალებებით აღჭურვილები, დაუბრკოლებლად დაკვირვებოდით და გადავადგილდებოდით საკონტროლო გამშვები პუნქტების ტერიტორიაზე, სადაც მოწყობილია მოვლინებული პირადი შემადგენლობისთვის, მოსასვენებელი და სასადილო სპეციალური კარვები, ასევე, სამედიცინო პუნქტი და მართვის ცენტრი.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამხედრო მოსამსახურეთა სამუშაო პირობები, მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცედურები, დათვალიერდა მოსასვენებლად და სასადილოდ განკუთვნილი სავსე კარვები, სამედიცინო პუნქტები და იქ არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე, გავაცანით სამხედრო მოსამსახურეთა სამოქმედო გეგმას ინსტრუქციის მიხედვით და დავაკვირდით მათ მიერ მოქალაქეთა მიმართ განხორციელებულ პროცედურებს.

ქ. მცხეთის შესასვლელთან საკონტროლო გამშვები პუნქტის კონტროლს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის მე-11 ქვეითი ბატალიონი, ხოლო ქ. რუსთავისა და ქ. მარნეულის საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად კონტროლს ახორციელებს საქართველოს

თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზირებული ბრიგადის ორი ბატალიონი. ასევე, თითოეულ საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მივლინებულია თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის საინჟინრო ბატალიონის სწრაფი რეაგირების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ასეულის წარმომადგენლები. სამხედრო მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობებში შედის; ქალაქებში შემსვლელი და იქიდან მომავალი სამოქალაქო მანქანების და ტექნიკის შემოწმება, მათი დეზინფექცია სპეციალური მისაშხურებელი აპარატის მეშვეობით და მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება - თერმო სკრინინგი. ავტო ტექნიკის დეკონტამინაცია (დეზინფექცია) ხორციელდება საკონტროლო გამშვები პუნქტების სპეციალურად მოწყობილ მონაკვეთზე, შესაბამისად აღჭურვილი პერსონალის მიერ.

საკონტროლო გამშვებ პუნქტზე განწესში მყოფი სამხედრო მოსამსახურე აღჭურვილია სახის დამცავი შლემით ან სათვალით, დამცავი ნიღბით და დამცავი ხელთათმანით; ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ ავტომანქანების დეზინფექციას, აღჭურვილნი არიან სახის დამცავი შლემით (სრული დაფარვით), დამცავი ნიღბით, სპეციალური დამცავი კომბინიზონით, სპეციალური დამცავი ხელთათმანით და სპეციალური დამცავი ბოტებით; სამედიცინო პერსონალი, რომელიც ახორციელებს მოქალაქეთა თერმო სკრინინგს, აღჭურვილია სახის დამცავი შლემით, დამცავი ნიღბით, დამცავი ხელთათმანით და დამცავი ხალათებით. სამხედრო მედიკოსებად მივლინებული არიან სპეციალურად გადამზადებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, როგორც საქართველოში ასევე საერთაშორისო მისიებში.

საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე სადღეღამისო განწესი არის სამ ცვლიანი, რაც განწესში მყოფი პირადი შემადგენლობის პერიოდულად დასვენების შესაძლებლობას იძლევა. განწესში გამსვლელი პირადი შემადგენლობა მორიგეობის დაწყებამდე ეწყობა სამხედრო ნაწილში, სადაც ხდება მათი სამედიცინო შემოწმება და ხელმძღვანელი პირის მიერ უტარდებათ ინსტრუქტაჟი, ამის შემდეგ ხდება მათი ტრანსპორტირება სამხედრო ნაწილებიდან საკონტროლო - გამშვებ პუნქტებამდე ავტობუსით ან სამხედრო მანქანებით, გაცემული რეკომენდაციების სრული დაცვით, ერთმანეთისგან დისტანცირებულად, ჭადრაკული განლაგებით.

პირად შემადგენლობას განწესში გასვლის წინ და განწესის დასრულების შემდეგ, სამხედრო ნაწილში დაბრუნებისას უტარდება თერმო სკრინინგი, ყოველი მორიგეობის დასრულების შემდეგ, სამხედრო ნაწილებში ირეცხება სამხედრო ფორმები და ფეხსაცმელი.

ყოველი ცვლის ახალი ეტაპის დაწყებისას ეძლევათ დამცავი საშუალებების ახალი კომპლექტი, ცვლის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ იხსნიან ხელთათმანს და ნიღაბს და ათავსებენ სპეციალურ ურნაში უტილიზაციისთვის, ხოლო სახის დამცავ შლემს, სპეციალურ კომბინიზონს და სპეციალურ ბოტებს უკეთდება დეზინფექცია. თითოეული საკონტროლო გამშვები პუნქტი მარაგდება საჭირო რაოდენობის დამცავი საშუალებებით.

ცალ-ცალკეა გამოყოფილი საძინებელი, სასადილო და სამედიცინო კარვები. ყველა კარვის შესასვლელში დამონტაჟებულია სადეზინფექციო ხსნარების კონტეინერები, კარვები ყოველდღიურად სუფთავდება დღის განმავლობაში და რამდენჯერმე მუშავდება სადეზინფექციო ხსნარებით. სამედიცინო კარავში გაკრულია ჯანდაცვის რეკომენდაციების მიხედვით გაკეთებული პოსტერები და მითითებები ჰიგიენური პირობების დაცვის შესახებ. ასევე ყველა სამხედრო მოსამსახურეს აქვს დარიგებული ჰიგიენური ნორმების დაცვის ინსტრუქტაჟი, რომელსაც აუცილებლად ატარებენ ჯიბით, რათა ხშირად გაეცნონ.

სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით (მშრალი ულუფა - პური, შებოლილი სოსისი, საქონლის ხორცის კონსერვი - „კულა“, ჩაი, ყავა, შაქარი; დესერტი - ბანანი, შოკოლადი მარსი, სნიკერსი). სასმელი წყლით მომარაგება ხდება ყოველდღიურად.

საკვლე პირობებში მოწყობილია ბიო-ტუალეტები და ხელსაბანები, არის თხევადი საპონი და ხელსახოცი, ბიო-ტუალეტების დასუფთავება და სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავება ხდება ყოველდღიურად. ხელსაბანი წყლის რეზერვუარებზე გაკრულია ხელის დაბანის წესი. რეზერვუარები ყოველდღიურად ივსება სპეციალური მანქანებით მოწოდებული წყლით.

მცხეთისა და რუსთავის საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე მანქანების შემოწმება ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. არჩევენ და აჩერებენ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები. მარნეულის შესასვლელში მოწყობილ საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მოწმდება ყველა მანქანა და უტარდება დეზინფექცია. ყოველ დაყოვნებულ მოქალაქეს უტარდება თერმო სკრინინგი, მცირეწლოვანი ბავშვები და 60 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები არ გადმოჰყავთ მანქანიდან და თერმო სკრინინგს ადგილზე უტარებენ.

თერმო სკრინინგი ხორციელდება ტექნიკურად გამართული, სხეულის ტემპერატურის უკონტაქტო საზომი ხელსაწყოთი. მოქალაქეთა სკრინინგი ხორციელდება რიგითობის დაცვით, სკრინინგის სივრცეში არ დაიშვება ერთზე მეტი პიროვნება. რიგში დისტანცია პირებს შორის არის 2 მეტრი. დისტანციის დაცვის მიზნით, სამედიცინო პუნქტების შესასვლელებთან მონიშნულია მოქალაქეთა დისტანცირებულად დგომის ადგილები. სამედიცინო პუნქტებთან მისასვლელი გზა შემოსაზღვრულია რკინის კონსტრუქციით. მოქალაქეების სამედიცინო შემოწმების პერიოდში, პარალელურ რეჟიმში ხდება მათი ავტომანქანების დეზინფექცია საკონტროლო გამშვები პუნქტის სპეციალურად მოწყობილ მონაკვეთზე.

გარდა თერმო სკრინინგისა, სამედიცინო პერსონალი ვირუსთან დაკავშირებული რისკების შეფასებას ახდენს შემდეგი კითხვარის მეშვეობით:

- ბოლო 14 დღის განმავლობაში იყვნენ თუ არა საზღვარგარეთ;
- თვითონ ან მათი ოჯახის წევრებს ჰქონდათ თუ არა პირადი ან ირიბი კონტაქტი პირთან, ვინც ბოლო 14 დღის განმავლობაში დაბრუნდა საზღვარგარეთიდან;

- თვითონ ან მათი ოჯახის წევრებს ჰქონდათ თუ არა პირადი ან ირიბი კონტაქტი პირთან, ვისაც ლაბორატორიულად დაუდასტურდა COVID – 19;
- იმყოფებოდნენ თუ არა ისეთ ჰოსპიტალში ან სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც COVID-19 - ის მქონე პაციენტებს მკურნალობდნენ;
- ჰქონდათ თუ არა სიცხე ან რაიმე სახის რესპირატორული პრობლემა ბოლო 48 საათის განმავლობაში;
- ჩატარებული აქვთ თუ არა ტესტი COVID-19 - ზე;
- სად გაატარეს ბოლო 14 დღე;
- რომელიმე აეროპორტში ხომ არ იყვნენ ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- იმყოფებოდნენ თუ არა დაკვირვების ან თვითიზოლაციის ქვეშ.

მოქალაქის თერმო სკრინინგის დროს, ტემპერატურის ან სხვა რისკ-სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ათავსებენ საიზოლაციო სივრცეში, რომელიც მოწყობილია ყველა სამედიცინო პუნქტში. შემთხვევა რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში და მოხსენება კეთდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცხელ ხაზზე - 112, რომლებიც უზრუნველყოფენ პაციენტის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ასევე, ვაკვირდებოდით საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე მივლინებული თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეების მიერ, მოქალაქეთა მიმართ განხორციელებულ პროცედურებს; სამხედრო მოსამსახურეები მოქმედებენ არსებული ინსტრუქციის სრული დაცვით და მონიტორინგის განხორციელების პერიოდში მათი მხრიდან მოქალაქეების მიმართ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. პროცედურები ტარდებოდა ოპერატიულად და არ ხდებოდა მოქალაქეთა დიდი ხნით დაყოვნება. შეჩერებულ მანქანებიდან, მითითების მიხედვით გადმოდიან მოქალაქეები ავტომობილებიდან და ინაცვლებენ სამედიცინო კარავთან, რიგის დაკავების მიზნით. კარავში შედის მხოლოდ ერთი ადამიანი. ზედმეტი დაყოვნების გარეშე ხდება მათთვის ტემპერატურის შემოწმება და რამდენიმე შეკითხვის დასმა. ამავდროულად ხდება მათი მანქანის დეზინფიცირება. შემოწმების შემდეგ, უფლება აქვთ დაუბრუნდნენ საკუთარ ავტომანქანას და განაგრძონ მგზავრობა შეუფერხებლად. პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. მოქალაქეები ემორჩილებოდნენ მითითებებს და რაიმე სახის უკმაყოფილება გამოთქმული არ ყოფილა. სამხედრო მოსამსახურეების მხრიდან მოქალაქეებთან მიმართებაში, მაქსიმალურად იყო დაცული ეთიკის ნორმები.